სამართლის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

სამართლის სკოლის პროგრამების

(საბაკალავრო და სამაგისტრო) კატალოგი 2023-2024

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დაფუძნდა 2006 წელს განსხვავებული და ხანგრძლივი ისტორიის მქონე 6 ინსტიტუტის გაერთიანების შედეგად. ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს სტუდენტთა და პროფესორთა კავშირს – მრავალფუნქციურ საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას, რომელშიც სტუდენტების,პროფესორების, მასწავლებლებისა და მკვლევრების თანამშრომლობით იქმნება აკადემიური და პროფესიული განათლებისა და კვლევის ერთიანი სივრცე.

უნივერსიტეტის მისია და ღირებულებები:

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს ცოდნის შექმნა, გადაცემა და გამოყენება მეცნიერების წინსვლის და საზოგადოებრივი განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, უმაღლესი განათლების როლის გათვალისწინებით საზოგადოების განვითარებისა და კეთილდღეობის საფუძვლების შექმნაში, 2018-2024 წლების სტრატეგიას აფუძნებს შემდეგ ღირებულებებსა და პრინციპებზე:

ავტონომიურობა – უნივერსიტეტი არის ავტონომიური საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც კანონის ფარგლებში დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს თავისი ძირითადი საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისთვის;

თანაბარი შესაძლებლობები – უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის უზრუნველყოფილია სწავლის, სწავლების, მუშაობისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები, რაც მოიცავს როგორც არჩევანის თავისუფლებას, ისევე უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობას არჩევანის შესაბამისი ქმედებების განხორციელებისათვის;

მრავალფეროვნება – უნივერსიტეტი არის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც წახალისებულია კულტურული, საგანამანათლებლო და კვლევითი საქმიანობის მრავალფეროვნება, როგორც საზოგადოებრივი ღირებულებების შექმნის საფუძველი;

აკადემიური თავისუფლება – უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო/ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის აკადემიური საქმიანობის არჩევანისა და განხორციელების თავისუფლებას.

სოციალური პასუხისმგებლობა – უნივერსიტეტი გრძელვადიანი და მიზანმიმართული მიდგომით ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, რომლებიც უნიკალური სამეცნიერო და ადამიანური რესურსის გამოყენებით ემსახურებიან საზოგადოების მდგრად განვითარებას;

კეთილსინდისიერება – უნივერსიტეტის საქმიანობის უმთავრესი კრიტერიუმია კეთილსინდისიერება სწავლა/სწავლებისა და კვლევის პროცესში

გამჭვირვალობა და ღიაობა – უნივერსიტეტი ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე, პროაქტიულად ავრცელებს ინფორმაციას საქმიანობის თაობაზე და ღიაა თანამშრომლობისათვის;

განვითარებაზე ორიენტირებულობა – უნივერსიტეტი პროაქტიულად აფასებს საკუთარ საქმიანობას, ეძებს სუსტ მხარეებს და ზრუნავს მათ აღმოფხვრაზე.

უნივერსიტეტი აერთიანებს 1 სკოლასა და 3 ფაკულტეტს:

• ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტს;

• სამართლის სკოლას;

• მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს;

• საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს.

უნივერსიტეტში მოქმედებს 30-მდე კვლევითი ინსტიტუტი და ცენტრი. სწავლების და

კვლევის მიზნებისთვის უნივერსიტეტი იყენებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განლაგებულ სასწავლო და სამეცნიერო ბაზებს.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი 3/5

თბილისი 0162,

საქართველო

ტელ: (+995 32) 222 00 09

ფაქსი: (+995 32) 223 10 26

ელფოსტა: info@iliauni.edu.ge

ვებგვერდი: www.iliauni.edu.ge

სამართლის სკოლის პროგრამების

(საბაკალავრო და სამაგისტრო) კატალოგი 2023-2024

სამართლის სკოლა

საბაკალავრო პროგრამები

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 ECTS კრედიტი

8 სემესტრი

12 კრედიტი – საბაზისო სავალდებულო (საუნივერსიტეტო მოდული)

24 კრედიტი – ინგლისური სავალდებულო

186 კრედიტი – სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) კურსები

126 კრედიტი – სამართლის სპეციალობის სავალდებულო კურსები

6 კრედიტი – სამართლის შესავალი კურსები

30 კრედიტი – საჯარო სამართალის ბლოკი (სავალდებულო)

54 კრედიტი – კერძო სამართლის ბლოკი (სავალდებულო)

30 კრედიტი – სისხლის სამართლის ბლოკი (სავალდებულო)

6 კრედიტი – საერთაშორისო სამართლის ბლოკი

60 კრედიტი - სამართლის არჩევითი კურსები (სამართლის არჩევითი კურსებიდან (სავალდებულო) სტუდენტმა უნდა აირჩიოს მინიმუმ 60 კრედიტი, სტუდენტი არარის შეზღუდული საგნები აიღოს სხვადასხვა ბლოკიდან)

საჯარო სამართლის არჩევითი ბლოკი

კერძო სამართლის არჩევითი ბლოკი

სისხლის სამართლის არჩევითი ბლოკი

საერთაშორისო სამართლის არჩევითი ბლოკი

სამართლის არჩევითი ბლოკი

18 კრედიტი – თავისუფალი კომპონენტი - თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში

სტუდენტს შეუძლია, აირჩიოს ნებისმიერი საუნივერსიტეტო საგანი ან ფაკულტეტის მიერ

შეთავაზებული კურსები)

პროგრამის მიზნები:

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

მოამზადოს კონკურეტუნარიანი სპეციალისტი სამართლის დარგში, რომელსაც/რომელიც:

ა) ექნება ფართო ცოდნა სამართლის არსის, ძირითადი პრინციპების, ეროვნული სისტემის თავისებურებების, ხოლო საჯარო, სისხლის, კერძო და საერთაშორისო სამართლის ძირითადი საკითხების სპეციფიკის შესახებ;

ბ) შეძლებს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება ს, მათ შეფასებას და პრობლემის გადაწყეტისთვის საჭირო იურიდიული მოქმედების განსაზღვრას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

გ) შეძლებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან შესაბამისი ზეპირი და წერითი ფორმით კომუნიკაციას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

გ) შეძლებს მოქმედებას იურისტის პროფესიული ქცევის წესებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემის გზით.

სწავლის შედეგები:

სამართლის ბაკალავრს აქვს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. აღწერს სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს;

2. აღწერს ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს;

3. აღწერს კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებსა და პრინციპებს, სამეწარმეო თავისუფლებისა და შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს;

4. აღწერს სისხლის სამართლის პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს;

5. აღწერს საერთაშორისო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას.

6. განსაზღვრავს სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებს და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს.

7. ამოიცნობს სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და სტანდარტული ან/და ზოგიერთი უახლესი მეთოდ ის გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს;

8. აანალიზებს სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;

9. ადგენს სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს; შეიმუშავებს პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

10. შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

11. მსჯელობს საკუთარი იდეების, არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერითი ფორმით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვითა და შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

12. მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზებისა და ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით;

13. ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით;

14. წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით;

15. ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის“ პრინციპის დაცვით.

შეფასების წესი (100-ქულიანი):

(A) 91 – 100 ფრიადი

(B) 81 – 90 ძალიან კარგი

(C) 71 – 80 კარგი

(D) 61 – 70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51 – 60 საკმარისი

(FX) 41 – 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების

უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დავით მაისურაძე

ელფოსტა: davit.maisuradze@iliauni.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან ერემაძე

ელფოსტა: ketevan.eremadze@iliauni.edu.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა მეიშვილი

ელფოსტა: zaza.meishvili@iliauni.edu.ge

საკონტაქტო პირი: კონსტანტინე ჩოკორაია

ელფოსტა: konstantine.chokoraia@iliauni.edu.ge

სამართლის სკოლის პროგრამების (საბაკალავრო და სამაგისტრო) კატალოგი 2023-2024

სამაგისტრო პროგრამები

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: კერძო (ბიზნეს) სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი (Master of Private Law)

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 4 სემესტრი/120 კრედიტი

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი კერძო (ბიზნეს) სამართლის სფეროში, რომელსაც:

ა)ექნება სიღრმისეული ცოდნა კერძო (ბიზნეს) სამართლის თანამედროვე ტენდენციების, გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ;

ბ) შეძლებს კერძო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზების (მათ შორის ორიგინალური კვლევის საფუძველზე) დამოუკიდებლად განსაზღვრას და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავებას;
დ) შეძლებს, პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში მონაწილეობას;

ე) შეძლებს ეფექტურ კომუნიკაციას პროფესიულ და აკადემიურ აუდიტორიასთან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

ე) იმოქმედებს ავტონომიურად, ეთიკის ნორმების დაცვით.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები(დარგობრივი)

პროგრამის კურსდამთავრებული:

1. აღწერს კერძო სამართლის ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევებს, განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს, ასევე საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს;

2. აღწერს თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ ცნებებსა და პრინციპებს, იურიდიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, ასევე სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებსა და აკადემიური ეთიკის საკითხებს, ასევე პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებსა და პრინციპებს;

3. აღწერს თანამედროვე კერძო სამართლის ეროვნული კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებს, გამოწვევებს და ხარვეზებს, ასევე მისი სრულყოფისა და გადაწყვეტის ძირითად გზებს;

4. აღწერს კერძო სამართლის პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ეროვნული და უცხოური გამოცდილებისა და უახლესი ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით;

5. აღწერს სამოსამართლო ეთიკის წესებს, მათ შორის მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს;

6. ხსნის ევროკავშირის სამართლის გავლენის მნიშვნელობას ქართული კერძო სამართლის განვითარებაზე;

7. განსაზღვრავს შედარებითი სამართლის არსსა და შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას;

8. აანალიზებს კერძო სამართალში მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ან/და კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;

9. აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს; განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;

10. განმარტავს სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ურთიერთკავშირის საფუძველზე;

11. ამოიცნობს აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას კერძო სამართალში, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, კერძო სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს, ახდენს კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, მიღებული პირველადი მონაცემების, რთული ან არასრული ინფორმაციის სისტემატიზაციას და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით ნაშრომს;

12. ახდენს აკადემიურ, ასევე კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერით და ზეპირ კომუნიკაციას, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით.

13. პატივს სცემს სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებს, მოსამართლის ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება) და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს აღნიშნული ღირებულებების განვითარებაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად;

14. აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად, მათ შორის, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომას კვლევასთან მიმართებით, ნაშრომის მოსამზადებლად;

15. მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას;

16. ავლენს უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;

17. იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად;

18. გამოხატავს პატივისცემას დემოკრატიული ღირებულებებისადმი, აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის.

შეფასების წესი (100-ქულიანი):

(A) 91–100 ფრიადი

(B) 81– 90 ძალიან კარგი

(C) 71– 80 კარგი

(D) 61– 70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51– 60 საკმარისი

(FX) 41– 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ

გადაბარების უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დავით მაისურაძე

ელფოსტა: davit.maisuradze@iliauni.edu.ge

საკონტაქტო პირი: კონსტანტინე ჩოკორაია

ელფოსტა: konstantine.chokoraia@iliauni.edu.ge

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო სამართლის მაგისტრი (Master of Public Law)

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 4 სემესტრი/120 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი განაწილებულია შემდეგი სახით:

სამართლის ბლოკი - 90 კრედიტი

42 კრედიტი – საჯარო სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) სავალდებულო კურსები,მათ შორის 12 კრედიტი-პრაქტიკული კომპონენტი, 6 კრედიტი-აკადემიური წერა იურისტებისთვის;

24 კრედიტი – საჯარო სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) არჩევითი კურსები

30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი

სამართლის სკოლის პროგრამების

პოლიტიკის ბლოკი – 18 კრედიტი

12კრედიტი – პოლიტიკის სავალდებულო კურსები (პოლიტიკის ბლოკი)

12 კრედიტი – თავისუფალი კომპონენტი/საჯარო პოლიტიკის არჩევითი კურსები

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს საჯარო სამართლის მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი და ექპსერტი, რომელსაც ექნება სისტემური ცოდნა საჯარო სამართლისა და პოტილიტიკის ურთიერთმიმართების სხვადასხვა ასპექტის შესახებ, შეძლებს საჯარო სამართალსა და მასთან დაკავშირებული პოლიტიკის აქტუალური პრობლემების კომპლექსურ შესწავლას და შეძენილ ცოდნას გამოიყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში როგორც ადამიანის უფლებათა სამართლის, ასევე სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების განვითარების, რეფორმების და საკანონმდებლო ცვლილებების საკითხებთან მიმართებით.

სწავლის შედეგი:

საჯარო სამართლის სფეროში აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის ძირითად ტენდენციებს, ადგენს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირსა და ევროკავშირის სამართლის გავლენას შიდა სამართალზე, აანალიზებს სამოსამართლო ეთიკის სტანარტებს, ანალიზებს საჯარო პოლიტიკისა დემოკრატიზაციის ძირითად გამოწვევებს.

- საჯარო სამართლის აქტუალურ საკითხებზე კვლევის უახლესი მიდგომების გამოყენებით ჩატარებულ კვლევას უზირებს პროფესიულ საზოგადოებას.
- აფასებს რთულ სამართლებრივ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს;
- წარმართავს იურიდიულ საქმიანობას დარგის უახლესი მიდგომებისა და სასამართლო პრაქტიკის განალიზების გზით.
- ავლენს დემოკრატიული ღირებულებებისადმი პატივისცემას და მონაწილეობს სამართლებრივი ღირებულებების განვითარებაში.

შეფასების წესი (100-ქულიანი):

(A) 91–100 ფრიადი

(B) 81– 90 ძალიან კარგი

(C) 71– 80 კარგი

(D) 61–70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51– 60 საკმარისი

(FX) 41– 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან ერემაძე

ელფოსტა: ketevan.eremadze@iliauni.edu.ge

საკონტაქტო პირი: კონსტანტინე ჩოკორაია

ელფოსტა: konstantine.chokoraia@iliauni.edu.ge

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: სისხლის სამართალი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სისხლის სამართლის მაგისტრი (Master of Criminal Law)

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 4 სემესტრი/120 კრედიტი

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი განაწილებულია შემდეგი სახით:

სამართლის ბლოკი – 108 კრედიტი

54 კრედიტი – სისხლის სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) სავალდებულო კურსები,

მათ შორის 18 კრედიტი – პრაქტიკული კომპონენტი, 6 კრედიტი – სამართლებრივი წერა იურისტებისთვის;

24 კრედიტი – სისხლის სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) არჩევითი კურსები

30 კრედიტი – სამაგისტრო ნაშრომი

12 კრედიტი – თავისუფალი კომპონენტი (სტუდენტმა შეიძლება აირჩიოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებით შემოთავაზებული ნებისმიერი კურსი)

პროგრამის მიზანი: სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური იურისტი, რომელსაც ექნება სისხლის სამართლის (მათ შორის სასამართლო პრაქტიკის, ევროპული და საერთაშორისო სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის ინსტიტუტების შესახებ) სისტემური ცოდნა და ასევე პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და რომელიც შეძლებს სისხლის სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას, შესწავლა-გაანალიზებას და მათ გადაწყვეტას, რაც მას გამოადგება ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში როგორც საჯარო (სასამართლო, პროკურატურა, გამოძიების ორგანოები), ისე კერძო (ადვოკატურა) სექტორში.

სწავლის შედეგი:

- სისხლის სამართლის სფეროში აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის ძირითად ტენდენციებს, ადგენს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირსა და ევროკავშირის სამართლის გავლენას შიდა სამართალზე, აანალიზებს სამოსამართლო ეთიკის სტანარტებს.
- სისხლის სამართლის აქტუალურ საკითხებზე კვლევის უახლესი მიდგომების გამოყენებით ჩატარებულ კვლევას უზირებს პროფესიულ საზოგადოებას.
- აფასებს რთულ სამართლებრივ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს;
- წარმართავს იურიდიულ საქმიანობას დარგის უახლესი მიდგომებისა და სასამართლო პრაქტიკის განალიზების გზით.
- ავლენს დემოკრატიული ღირებულებებისადმი პატივისცემას და მონაწილეობს ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პრინციპების განვითარებაში. სამართლის სკოლის პროგრამების

შეფასების წესი (100-ქულიანი):

(A) 91–100 ფრიადი

(B) 81– 90 ძალიან კარგი

(C) 71– 80 კარგი

(D) 61– 70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51– 60 საკმარისი

(FX) 41– 50 ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ

გადაბარების უფლება

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ზაზა მეიშვილი

ელფოსტა: zaza.meishvili@iliauni.edu.ge

საკონტაქტო პირი: კონსტანტინე ჩოკორაია

ელფოსტა: konstantine.chokoraia@iliauni.edu.ge